პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (19658) ◆ შაბათი, 20 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 18 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს შრომითს კოლექტივებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ისახება სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ხელფასის სისტემის სრულყოფისა და შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე მისი გადიდების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დროს. პოლიტბიურომ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი დარგების ყველა მუშაკის უაღრესად აქტიური მონაწილეობით, ხელს უწყობდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, კეთილსინდისიერი მუშაკების წახალისებას, შრომის რაოდენობასა და ხარისხზე ხელფასის მკაცრი დამოკიდებულების პრინციპის თანმიმდევრულ დაცვას. გამოითქვა რწმენა, რომ მშრომელები გაგებით აღიქვამენ ხელფასის სისტემის გარდაქმნისათვის დასახულ ღონისძიებებს, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებულ შესრულებას.

პოლიტბიურომ მიზანშეწონილად ცნო დამატებითი შეღავათები დაუწესდეთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. ამასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ სამამულო ომის მონაწილეებს — ინვალიდებს საერთო დაავადების გამო ორმოცდაათი პროცენტით შეუმცირონ სათბობის ღირებულება, რომლებსაც იძენენ თავიანთი ბინებისათვის, ხოლო სამშობლოს დაცვისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებსა და მშობლებს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ პენსიას იღებენ ისინი, ასევე შეუმცირდეთ საბინაო ფართობის, სათბობისა და კომუნალურ მომსახურებათა გადასახადი.

პოლიტბიურომ განიხილა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის სახელზე მოსული მშრომელთა წერილებისა და ზეპირ წინადადებათა განსახილველად. ამ მუშაობის დროს განიხილეს მოქალაქეთა უამრავი წერილი, რომელთა შინაარსი განსაზღვრულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს დიდი ცვლილებები, საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით ყრილობის ფოსტაში გადაჭრით არის გაკრიტიკებული ის, რაც ხელს უშლის სახელმწიფო გეგმების რეალიზაციას, მწვავედაა დასმული კადრების შერჩევისა და განწილების გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, სოციალისტური დემოკრატიის, თვითმმართველობის პრინციპების განვითარების, უყაირათობის, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

პარტია ეთათბირება ხალხს

(დასასრული)

აპრილის პლენუმის შემდეგ ყველა ალაპარაკდა პრობლემებზე. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ფიქრობდა, — ვნახოთ, რა გამოვალ. ახლა ხალხი უკვე პირდაპირ სვამს კითხვას, როგორც ახლა თქვენ. მაშასადამე — მე დარწმუნებული ვარ ამაში — გაიზრდება ადამიანების აქტიურობა, გარდაიქმნება მათი აზროვნებაც. მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩვენი ამოცანების გადაწყვეტა.

ხმა: მეტად რბილად ხომ არ ველაპარაკებით საზღვარგარეთს?

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენი პრინციპი ასეთია: ვიპორციელებდეთ მტკიცე პოლიტიკას, ვიცავდეთ პრინციპებს, რომლებსაც შევეხე, მაგრამ ვეწეოდეთ ამ საქმეს კონსტრუქციულად. თავდაჭერილობა გვმართებს. თავდაჭერილობა კი სირბილე როდია. დაე, იტიხონ თავი. იფიქრონ იმაზე, როგორ ჩაშალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დასახული გაუმჯობესება, როგორც ჩაშალეს ოდესღაც იმით, რომ პაუერსი შემოგზავნეს, მერე კორეის თვითმფრინავი, როცა მსოფლიომ დაიწყო ფიქრი, საჭიროა დაბალანსების შენელებას დავუბრუნდეთო. ახლა „დანილოფის საქმე“ ამოატივტივეს, ჯაშუშისა, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს. იგი ბევრგან, მათ შორის თქვენგან ახლოს ეწეოდა ამ საქმეებს. მათ სურთ ეს ჯაშუშური საქმე გამოიყენონ, რათა კვლავ გააფუჭონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და ეჭვი დათესონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მიმართ, დაამახინჯონ ჩვენს ადამიანებზე წარმოდგენა, რომელიც ამერიკელ ხალხს ექმნება.

ჩვენ რაო, ვითომ, ვინერვიულებთ? არ ვინერვიულებთ. ჩვენ პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგებენ. მესმის, თქვენ გსურთ, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერი იყოს და მტკიცედ ახორციელებდეს შშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ეს სწორი სურვილია.

ხმა: მიხეილ სერგის ძე, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ყუბანში მოგზაურობამ?

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენი პრინციპი ასეთია: ვახორციელებდეთ მტკიცე პოლიტიკას, ვიცავდეთ პრინციპებს, რომლებსაც შევეხე, მაგრამ ვეწეოდეთ ამ საქმეს კონსტრუქციულად. თავდაჭერილობა გვმართებს. თავდაჭერილობა კი სირბილე როდია. დაე, იტიხონ თავი. იფიქრონ იმაზე, როგორ ჩაშალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დასახული გაუმჯობესება, როგორც ჩაშალეს ოდესღაც იმით, რომ პაუერსი შემოგზავნეს, მერე კორეის თვითმფრინავი, როცა მსოფლიომ დაიწყო ფიქრი, საჭიროა დაბალანსების შენელებას დავუბრუნდეთო. ახლა „დანილოფის საქმე“ ამოატივტივეს, ჯაშუშისა, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს. იგი ბევრგან, მათ შორის თქვენგან ახლოს ეწეოდა ამ საქმეებს. მათ სურთ ეს ჯაშუშური საქმე გამოიყენონ, რათა კვლავ გააფუჭონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და ეჭვი დათესონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მიმართ, დაამახინჯონ ჩვენს ადამიანებზე წარმოდგენა, რომელიც ამერიკელ ხალხს ექმნება.

ჩვენ რაო, ვითომ, ვინერვიულებთ? არ ვინერვიულებთ. ჩვენ პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგებენ. მესმის, თქვენ გსურთ, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერი იყოს და მტკიცედ ახორციელებდეს შშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ეს სწორი სურვილია.

ხმა: მიხეილ სერგის ძე, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ყუბანში მოგზაურობამ?

მ. ს. გორბაჩოვი: ყუბანს დიდი ხანია ვიცნობ... ყუბანმა, ყველა შრომელმა, პარტორგანიზაციამ საკმაოდ რთული გზა გაიარეს. ეწრნარეს ყოველისა ეს ეხება მრალურ ატმოსფეროსა და წესრიგს. მიმანნია, რომ კრასნოდარის პარტიული ორგანიზაცია სიმაღლეზე აღმოჩნდა. კარგი წესრიგი მყარდება. ხალხი ამას მხარს უჭერს, გუშინ ამის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ. ჰაერი ყუბანში ახლა უფრო სუფთა გახდა. ეს, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია.

ხმა: დიდი მადლობა ჩვენს მთავრობას იმისათვის, რომ ამდენი წელია შშვიდობა გვაქვს — ეს არის უმთავრესი. მეიოკოსთა სახელით მინდა ვთქვა, რომ გვსურს მეტი ყურადღება ეთმობოდეს ჯანმრთელობის დაცვას და ანაზღაურება შრომის მიხედვით იყოს.

მ. ს. გორბაჩოვი: აი, რას გეტყვიო. თქვენ უდიდესი საკითხი წამოჭერით. სამედიცინო მომსახურება ხალხს ჯანმრთელობაა, ეს კი ყველაზე მთავარია. ახლა ჩვენ ვამზადებთ დიდ, მრავალი წლისათვის გამიზნულ დაგეგმარებას ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის განვითარების, მისი ბაზის განვითარების შესახებ. მზადდება მედიკოსთა შრომის ანაზღაურების სტიმულირების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ჩვენი აზრით, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება დიდმნიშვნელოვანი სფეროებია, მათი განვითარების გარეშე ჩვენი საზოგადოება ვერ იცხოვრებს ნორმალურად და ვერ იფიქრებს მომავალზე. სკოლის შემდეგ ჩვენ შეუუდექით მთელი ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სერიოზულ სრულყოფას.

ხმა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს ინჟინერთა როლის გაზრდას. როგორ წყდება ეს საკითხი?

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენ კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ ამის თაობაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი განხორციელება სადღაც ყოვნდება. თურმე, ყველაფერი, რაც ჩვენ მივიღეთ ლენინგრადის გამოცდილებს საფუძველზე, სადაც საქმე კარგად აეწყო, გამოყენებულია იმგვარად, რომ ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა მიიღეს დანამატი 5-7 მანეთის ოდენობით. მაგრამ ეს ის არ არის.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ავამაღლოთ საინჟინრო შრომის პრესტიჟი. განათლებით ინჟინერი ბევრი გვყავს, აზროვნებით და შედეგების მიხედვით — ცოტა. ამიტომაც საჭიროა იქ, სადაც ინჟინერი დღეს დიდ უკუგებას იძლევა, მოვახდინოთ მისი შრომის სტიმულირება. მაგრამ იმან, ვინც შემთხვევით აღმოჩნდა ამ კორპუსში, იქნება იფიქროს და სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ყველაფერი კი, რაც გვაქვს, მოვახმაროთ საინჟინრო კორპუსის, ყველაზე ნიჭიერ კონსტრუქციულ ნაწილს. როცა ვამუშავებთ ამა თუ იმ დადგენილებას, ვეთათბირებით ხალხს, სპეციალისტებს, განვიხილავთ ხოლმე ქვეყანაში. კაბინეტებში ბევრი დადგენილება შეიძლება დაიბეჭდოს, მაგრამ დიდი არაფერი სარგებლობა მოაქვთ, ვხედავ, რომ აქ რაღაც გამოგვირჩა.

ხმა: მე იურისტი ვარ. უნდა გავზარდოთ იურიდიული სამსახურის პრესტიჟი ყველა სფეროში — მორალურ თუ მატერიალურ სფეროში. ამ თვალსაზრისით ცვლილებები ჯერჯერობით არ შეინიშნება.

მ. ს. გორბაჩოვი: ძალზე სწორად თქვით. საერთოდ უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ კანონების მიხედვით. თუ ასე მოვიქცევით, სამართლიანობაც იქნება და წესრიგიც. დღეს ჩვენში ბევრია დარღვევა, კანონის გვერდის ავლის გზები. ახლა ვიღებთ გადაწყვეტილებას იურიდიული მეცნიერების განვითარების, კადრების მომზადების, შრომელთა სამართლებრივი განათლების შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს სოციალისტურმა კანონიერებამ. თანაც ყველასთვის ერთი კანონი უნდა იყოს, ერთი დისციპლინა, ყველასთვის ერთი მორალი. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც სხვას სოციალისტურ მორალს უქადაგებენ, თვითონ კი სუროგატს სჯერდებიან. ასე არ გამოვა. ეს საქვეყნოდ უნდა ითქვას.

ხმა: ახლა შშენებლობის, განსაკუთრებით სასოფლო შშენებლობის მართვის გარდაქმნა მიმდინარეობს. ხომ არ გაჭიანურდა ეს პროცესი? ნახევარ წელზე მეტია ნორმალურად ვერ ვმუშაობთ. მართვის ხან ერთი სტრუქტურაა, ხან მეორე. ახლა ამბობენ, მესამე იქნებაო.

მ. ს. გორბაჩოვი: არა, ახლა საკითხები გადაწყდა. როცა ვიხილავდით, ალბათ, სამი კი არა, ათი ვარიანტი იქნებოდა. თანაც ჩვენი ეკონომიკის ყველაზე რთული დარგი კაპიტალური შშენებლობაა. მისი ისეთ მდგომარეობაში დატოვება, როგორც აქამდე იყო, არ შეიძლება. რატომ? ჯერ ერთი, თუ ეფექტიანს არ გავხდით ამ დარგს, ეფექტიანს ვერ გავხდით სახალხო მეურნეობასაც. ნახეთ, რა გამოდის? დაპოექტებისას ძველ პროექტებს იყენებენ — ტექნიკურ ჩამორჩენილობას აკონსერვებენ. ეს პროექტები შემდეგ ხორციელდება არა 3-3,5 წელიწადში ნორმატიული ვადების მიხედვით, არამედ 6-9 წელიწადში. რაც მოძველებულად იყო დაპროექტებული, კიდევ უფრო ძველდება შშენებლობის პერიოდში. და ბოლოს, დაქაქსულობა. ყველაფერს ერთად მოპყვება ის, რომ იყინება უზარმაზარი სახსრები. ამიტომ ყველა ეს პროცესი — დაპროექტებაც და საწარმოო საქმიანობაც — ერთ ხელში ექცევა — სამშენებლო კომიტეტებს გადაეცემა. მარტივდება მართვის სტრუქტურა. თანაც ვიმედოვნებთ, რომ ამას პარალელური რგოლების, უმაქნისი ბაზების ლიკვიდაცია მოჰყვება.

ბოლო ვარიანტი ოპტიმალურად მიგვაჩნია. იგი ყველა რესპუბლიკაში, რამდენიმე ათეულ საოლქო კომიტეტში განიხილეს შშენებლობის მუშაკებმა და მეცნიერებმა. ყველამ მხარი დაუჭირა. ეს ბოლო ვარიანტია და განხორციელდება. ვფიქრობთ, რომ შშენებელთა აპარატი, რომლებიც მართავენ ამ წარმოებას, გაიბერა, უზარმაზარი გახდა. თავსატეხიც ბევრია. ამხანაგებმა წამოაყენეს წინადადება შემცირდეს იგი სულ ცოტა 40 პროცენტით. დიდი მუშაობა მოგვიწევს მისი მოწესრიგებისათვის. ჩვენ იგი დავიწყეთ და განვაგრძობთ კიდეც.

რაც შეეხება უმაღლეს ეშელონს — საკითხი გადაწყდა. რაც შეეხება საშუალო და დაბალ ეშელონებს — ოლქებისა და უშუალოდ საწარმოო ერთეულების დონეზე, ეს განხორციელდებს 1986-1987 წლებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეხვდა კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივს.

შეხვედრის დროს საქმიანად განიხილეს პრობლემები, რომლებიც აბრკოლებს მხარის კეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. კერძოდ, უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ყუბანის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა **მ. ი. კლეპიკოვმა** დასვა საკითხი, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხარისხი. ჩვენ, თქვა ბრიგადირმა, კარგ ტექნიკას ველით. დაე, ნაკლები, მაგრამ კარგი და საიმედო იყოს. ჩვენ მივიღეთ ხარისხსინშნიანი ახალი კომბაინი. მაგრამ მას უკვე ვშლით და ასი პროცენტით ვაწყობთ, სხვაგვარად ვერ იმუშავებს. ამავე დროს ეს ეხება მთელ ტექნიკას, ყველა მარკის ტექნიკას. მივიღეთ კომბაინს და ვიწყებთ მის თავიდან აწყობას, გადაკეთებას...

მ. ს. გორბაჩოვი: ხარისხის ნიშნამდე აგყავთ?

მ. ი. კლეპიკოვი: დიახ, ხარისხის ნიშნამდე, ოღონდ — ჩვენს სახელსნოში. არადა, როგორი სტრუქტურა შევქმენთ — მთელი სარემონტო ინდუსტრია, რომლებიც შეიძლებოდა დაგვეფუძნებინა რამდენიმე ქარხანა ყუბანში და გამოგვეშვა საკუთარი ტექნიკა.

მ. ს. გორბაჩოვი: სწორია.

მ. ი. კლეპიკოვი: ხარისხის საკითხი, მართალი გითხრათ, მიხეილ სერგის ძეს, ალბათ უმთავრესია. ხალხთან მუშაობაცაა საჭირო, რათა გავაუმჯობესოთ ხარისხი ნებისმიერი პროდუქციის ყველა პოზიციის მიხედვით, მრეწველობა იქნება ეს თუ სოფლის მეურნეობა.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენ, მიხეილ ივანეს ძეს, აყენებთ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის საკითხს, არამედ მთელი ქვეყნის საკითხს.

მ. ი. კლეპიკოვი: დიახ, მთელი ქვეყნის.

მ. ს. გორბაჩოვი: თუ ტიმაშევსკის რაიონის მუშაკებთან საუბრების მიხედვით ვიმსჯელებთ, ახლა შემოღებულია კოლმეურნეობებისგან პროდუქციის მკაცრი მიღების წესი. ვფიქრობ, ეს სიმკაცრე არ უნდა შევანელოთ, ვინაიდან საქმე ეხება პროდუქტებს, სურსათს, ხალხს რომ ხმარდება. კარგია, რომ ახლა ყველამ ხელი მოჰკიდა ხარისხის საქმეს. მაგრამ ასეთი მომთხოვნელობა უნდა წაეუყენოთ სოფლის მეურნეობის ძმწოდებლებსაც. მანქანები ხარისხიანი უნდა იყოს, კომპლექტური, მანქანების სისტემები, სასუქი — ასორტიმენტით, კომბინირებული საკვები — საჭირო რეცეპტურისა და ასე შემდეგ. ვფიქრობ, დადგა დრო ყველას წავუყენოთ ასეთი მოთხოვნები — სოფელსაც, და სოფლისთვის გათვალისწინებულ შეკვეთებსაც.

მ. ი. კლეპიკოვი: ახლა კი ცალი გოლის თამაშია.

მ. ს. გორბაჩოვი: ჰოდა, მეც ვფიქრობ, ვთხოვოთ ჩვენი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც აქ გვესწრებიან, გადასცენ ჩვენი საუბარი. ყველამ მოისმინოს, იმაათ კი, ვისაც ეს ეხება, დასკვნები გამოიტანონ. სასურსათო პრობლემა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. და იგი სწორედ ასე უნდა გადაიჭრას.

აქტივზე სიტყვა წარმოთქვა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

• • •

ნაშუადღეს მ. ს. გორბაჩოვი სტავროპოლში ჩავიდა. აეროდრომზე მას დახვდნენ პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ს. ბოლდირევი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ტ. ტარანოვი და პარტიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრები.

მ. ს. გორბაჩოვმა ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ყვავილებით შეამკეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებული სტავროპოლელების პატივსაცემად აღმართული მონუმენტი, აგრეთვე სოჭოკალაჭო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირის, არმიის გენერალის ი. რ. აპანასენკოს ძეგლი.

ქუჩებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეხვდა სტავროპოლის მშრომელებს.

ქალაქის მთავარ მოედანზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ მ. ს. გორბაჩოვი ღიღულებული გახდა ტრიბუნაზე ასულიყო.

მიმართა რა შეკრებილთ, გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ სტავროპოლისაკენ მომავალს გზად მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა მშრომელებთან. ყოველ რესპუბლიკაში, ჩვენი უდიდესი ქვეყნის ყოველ ქალაქში ყოფნისას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ვგრძნობდი, რომ საქმე იცვლება, ადამიანების განწყობილება იცვლება. მთელი ჩვენი საზოგადოება ამოძრავდა, ძველი პოლიტიკა გამოიკვეთა იმის მართალი შეფასების საფუძველზე, რაც ჩვენში ხდება. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს წინა თაობათა გამოცდილებასაც და იმასაც, რაც გაკეთდა ქვეყანაში ეკონომიკის თვალსაზრისით, სოციალური სფეროს, დემოკრატიის განვითარების, საბჭოთა ცხოვრების წესის განვითარების თვალსაზრისით. ეს ის ბაზაა, რომელზეც მტკიცედ მდგომნი შევძლებთ შეავაფასოთ ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც და შევიმუშაოთ სამომავლო რეალური პოლიტიკაც. მაგრამ იგი გათვალისწინებულია ჩვენი უდიდესი მეცადინეობის, პარტიის უზარმაზარი ძალისხმევისათვის, რომელმაც ბევრი რამ უნდა გააკეთოს, რათა განხორციელდეს ყველაფერი, რაც დასახულია.

მაგრამ მთავარი ძალა ჩვენს ქვეყანაში ხალხია, და თუ ხალხი მხარს უჭერს ამ პოლიტიკას, მე სულ უფრო მომტკიცდება რწმენა, რომ აუცილებლად შეავსრულებთ ყველაფერს, რაც ჩავიფიქრეთ.

ჩვენ გვაქვს პრობლემები, გადაუდებელი პრობლემები — ბინა, სურსათი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და, ბოლოს, დემოკრატია. ჩვენმა ხალხმა თავი ბატონ-პატრონად უნდა იგრძნოს. და თუ ეს ასეა, პატარა იქნება სახლი თუ დიდი, იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს სახლი მშვენდებოდეს, იზეიმებოდეს, რომ ჰაერიც და ატმოსფეროც მასში შესაფერისი იყოს, რომ მასში ადამიანურად გეცხოვრებოდეს. ეს ჩვენი სახლი საბჭოთა კავშირია.

ახლა ვდავობთ, ზოგჯერ, იქნებ, ვჩხუბობთ კიდეც, მაგრამ ძირითადად ვკამათობთ, გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე — ეკონომიკის, სოციალური საქმეების, დემოკრატიის, საზოგადოების მორალური ატმოსფეროს საკითხებზე. ეს ნორმალურია, რომ გადაწყვეტეთ ყველაფერი უკეთ ვაკეთოთ, ვიდრე აქამდე გვიკეთებია, და მოვიშოროთ ყოველივე დანალექი.

ვესაუბრეთ მუშებს. გავიხსენეთ წარსული. როგორ დაბრუნდნენ ფრონტელები, ქვეყნის აღორძინების როგორი მგზნებარე სურვილი ჩამოიტანეს. ჩვენ გვიწინასწარმეტყველებდნენ, რომ 25, და იქნება 50 წლის მანძილზეც ეგი წამოვდგებოდით ფეხზე ამ ომის შემდეგ. წამოვდექით. და არა მარტო წამოვდექით. რამდენჯერმე გავზარდეთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები — ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური შესაძლებლობები. წამოვდექით და მტკიცე ნაბიჯით გავწიეთ წინ.

სადღაც 70-80-იანი წლების მიჯნაზე შეფერხდა წინსვლა. დავკარგეთ დინამიკა, ზოგ-ზოგები მიეჩვივნენ ინერციას, უდარდელობას, დაუდევრობას, ზოგს ხელს აძლევდა უწესრიგობა, სათანადო დისციპლინის უქონლობა, ასეთები ყველგან იყვნენ — მუშებში, გლეხებში, ინტელიგენციაში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში. მაგრამ ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ დავძლიოთ ეს. ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას მსოფლიოში პირველი ახალი საზოგადოების შშენებლობის უდიდესი გამოცდილება აქვს. მეცნიერებაც უმძლავრესი გვაქვს მსოფლიოში, რესურსები — უზარმაზარი. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რომ გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა და ამის საფუძველზე, რომელიც გვაქვს დღეს, ყველა წინა და ახლანდელი თაობის შრომის მეოხებით, შეგვიძლია ვიაროთ მტკიცე ნაბიჯით, დინამიკურად გადავწყვიტოთ ყველა საკითხი. ოღონდ ვჭირდება, რომ ხალხმა ხელში აიღოს ამ საქმის სადავე. ამიტომ საჭიროა ფართო დემოკრატია.

როცა დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავზე წამოვისვათ დემაგოგები, წამგლეჯები, ანონიმისტები. ეს დემოკრატია, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ჩვენმა შომზადებულმა, განათლებულმა, გონიერმა მუშათა კლასმა, ჩვენმა გლეხობამ, რომელსაც მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის დიდი გამოცდილება და რწმენა აქვს, ჩვენმა ინტელიგენციამ, რომელიც მუშათა და გლეხთა წაყიდან გამოვიდა და უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი შეიძინა, — მოიხმარონ ის, რაც აქვთ.

ამიტომ უნდა შევცვალოთ ეკონომიკისადმი მიდგომა საბჭოების, პარტიული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ხალხი ბატონ-პატრონი უნდა იყოს. ჩვენ ყველაფერს გადავწყვეტთ, ყველაფერი მოგვარდება. აი რა არის მთავარი, ამხანაგებო!

გარდაქმნას თუ შევეხებით, მას ის უნდა მოჰყვეს, რომ ადამიანებმა ბატონ-პატრონებად იგრძნონ თავი.

მე ყირიმის შემდეგ მივიღე ერთი საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის პარტიული ორგანიზაციის მდივნის წერილი. იგი მწერდა: მიხეილ სერგის ძეს, მე ყოველდღე ვუყურებდი ტელევიზიით ყირიმის ბას. შემდეგ წავიკითხე მოხსენება. იცით, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ. მივედი საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან და ვუთხარი, რომ დიდი ხანია ბევრი წინადადება დამიგროვდა. მინდა, როგორც გაყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გითხრათ, რა პრობლემები გვაქვს მეურნეობაში. და იცით რა მიპასუხა: წადი და შენს საქმეს მიხედეო. მაშასადამე, მწერს იგი, ყირიმამდე მიაჩნდათ, რომ ჩემი საქმე არ არის, რა ხდება საბჭოთა მეურნეობაში და ქვეყანაში, ყირიმის შემდეგაც, თურმე, არ ყოფილა ჩემი საქმე.

ძალზე სწორად შენიშნა ბრიგადირმა. ყირიმის ატმოსფერომ ფრთები შეასხა მას და დირექტორთან მივიდა. გამოვიდა, რომ ეს ხდება სადღაც ცხრა მთის იქით, უცნობ სახელმწიფოში და არა ჩვენთან.

სწორია წერილის ავტორი. საზოგადოება ჯერ მეურიგდება იმას, როგორ ეცხოვრობდით გუშინ, როგორ ვმოქმედებდით გუშინ, რას ჩავდიოდით გუშინ. საზოგადოება წინ იცლის. პოლიტბიუროში, ცენტრალურ კომიტეტში, საბჭოთა მთავრობაში მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობის სრული ერთსულოვნებაა. მთავარ იმედს ხალხის მხარდაჭერაზე ვამყარებთ. და იმას, რომ თქვენ მიესალმებით დასახულ ღონისძიებებს, ჩვენი პარტიის გეზს, ვგრძნობ ყველგან, სადაც ვყოფილვარ — ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და რესპუბლიკებში, ეს იმის უმთავრესი წინამძღვარია, რომ ჩვენ დავძლევთ ყველა სიძნელეს.

ვ. ჟილიაკოვი,
ა. ბელიკოვი,
ნ. სტიაჭკინი,
საკდისის სპეციალური კორესპონდენტები.

ᲥᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲢᲝᲜ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ახალ კოლხეთს“ ხელმომწერი არა ჰყავს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მაგრამ დღეს იგი წაიკითხეს რიგელებმა და დონეცკელებმა, პატარა ქალაქების — ესტონეთის ტარტუსა და უზბეკეთის თერმეზის, სოჭის, კრასნოდარისა და ყარაღანდის მკითხველებმა...

ამ სიაში ორმოცდათზე მეტი დასახლებული პუნქტია. ეს მოხდა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც 13 სექტემბერს დამთავრდა ფოთის დღეები. გაზეთებს გამოფენის ადმინისტრაციული კორპუსის საკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან ეკიდებოდნენ სემინარის წინ, რომელიც ფოთის ექსპერიმენტს მიეძღვნა.

სათაური, რომელიც რუსულ ენაზე ერთადერთხელ გამოსული ნომრის პირველ გვერდზე აეწყოთ, — „ყველაფრის ბატონ-პატრონი ქალაქია“ — მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ნათლად ასახავდა სემინარის მონაწილეთა მიზნებსა და საზრუნავს. მათს უმრავლესობას ხომ ადგილობრივი საბჭოების მუშაკები შეადგენენ. მაგრამ არა მარტო ისინი. დღეს ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტა, ყირიმის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტა — რეგიონალურ ჭრილში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული: „გაერთიანების ორგანიზაციისას მიზანშეწონილია გამოიყენოთ ფოთის საქალაქო აღმასკომის გამოცდილება“.

ფოთის შესახებ უკვე ბევრი სტატია დაიწერა და წაგიხიც კი გამოქვეყნდა, გადაღებულია დოკუმენტური ფილმები. მარტო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სემინარის მონაწილეებს ორი ახალი ფილმი უჩვენეს, რომლებიც ცენტრალურმა და საქართველოს ტელევიზიის სტუდიებმა გადაიღეს.

მაგრამ უშუალო ურთიერთობას, საქმესთან და ადამიანებთან ცოცხალ გაცნობას ვერაფერი შეიცვლის. მით უმეტეს, რომ ეს შეეხებოდა დროის სულისკვეთებას, რომელიც უგულებელყოფს მუშაობის მარტოოდენ სადირექტივო, კაბინეტური სტილის დონეს.

ასე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზეც. თუ სტუმარ-მასპინძლების რეპლიკების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ თვე მოიყარა ხალხმა, რომლებიც უკვე კარგად იცნობდნენ ერთმანეთსაც და საქმის არსსაც.

სინინა აბიკეევა ყირგიზეთის ისიკ-ყულის ოლქის ქალაქ რიბაჩიდან არის. იყო კომკავშირის ქალაქკომის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, ამჟამად საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეა. დიდად შესტკივა გული თავისი ქალაქის — ტბის პირას მდებარე პატარა ნავსადგურის მომავლისათვის.

— მახსოვს როგორ წაიკითხე ფოთის შესახებ პირველად ჟურნალ „კომერსანტში“, — მიამბობს სინინა აბიკეევა.. — მაშინ ის-ის იყო ამირჩიეს თავმჯდომარედ. როგორც მოგეხსენებათ, საქალაქო აღმასკომის შტატი დიდი არ არის, და საქმე ყველას ბევრი გვაქვს. ჩვენ ყველაფერი გვეზება პრაქტიკულად კი ბევრი არაფრის გადაწყვეტა შეგვიძლია. საწარმოს, მით უმეტეს სამინისტროს, ყოველთვის თავისი პრობლემებიც ჰყოფნის. შეიძლება ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდეს, ანდა სამშვიდეს არჩევდნენ, მაგრამ ასეა თუ ისე ქალაქის საზრუნავს ყველა თავს არიდებს. და აი, თვალყურის დევნება დავიწყე ფოთის საქმეებს და თითქოს ძალა შემემატა. ეს სწორედ ისეთი რამ გახლავთ, რომელიც ახლობელი და გასაგებია ყველა პატარა ქალაქისათვის. ჩვენი მუშაკები უკვე ორჯერ იყვნენ ფოთში. ქართველი ამხანაგები მარტო გამოცდილებით კი არ დაგვეხმარნენ, გვირჩიეს კიდეც, როგორ გვემოქმედა. ადმინისტრაციული აზროვნების ინერცია თუ არ დაძლიე, ადგილიდან ხომ ვერ დაიძვრები. ახლა ჩვენ უკვე დავამთავრეთ ყველა მოსამზადებელი ღონისძიება და მოსკოვიდან და ბრუნვების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ფოთის ტიპის საკუთარ გაერთიანებას შეექმნით.

ფოთში 50 ათასი მეხოვრებია. ეს ბევრი არ არის. საშუალო მასშტაბისაა სამრეწველო პოტენციალიც. სხვათა შორის, პავლოდარში „სსრკ სტანდარტები“ გამოფენა, თუმცა დიდი სიყვარულით და საზრიანად არის გაკეთებული, სულ ერთ პატარა დარბაზში იტევა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აქ წარმოდგენილ დიაგრამებში, სქემებში, მიღწევების ციფრების უკან ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა გამოსჩენილა. გულახდილად ლაპარაკობენ თავიანთ შეცდომებზე თვითონ ფოთელებიც. როგორ შევუთავსოთ ასეთი სიტუაცია იმ დიდ ინტერესს, რომელსაც ფოთის გამოცდილება იწვევს. მაგალითად ერგივე გამოფენა გამოგვადგება. პავლოდარში ყოველდღიურად ასობით ადამიანი მოდის და, როგორც ექსკურსიამძღოლები ამბობენ, შეკითხვებს ვერ აუდიან.

ავტორიტეტული აზრის გასაგებად ამ საკითხზე მივმართე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მართვის სრულყოფის ქვეგანყოფილების უფროსს ბ. კარპენკოს. მართალი გითხრათ, თავდაპირველად მან ეარი მითხრა: „იმდენი რამ მითქვამს ფოთის შესახებ სხვადასხვა მინისტრთან საუბარში, ინტერვიუსგან მაინც მიხსენითო“. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემმა შეკითხვამ მაინც დაინტერესა.

—ქალაქის სიდიდეს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — ბრძანა ბ. კარპენკომ. — იდეის პოტენციური შესაძლებლობანი გამოსადეგად ხდის მას ყოველგვარ მასშტაბებში. ტერიტორიულ-სადარგთაშორისო გაერთიანება მართვის პერსპექტიული ფორმაა. უამისოდ ან ანალოგიური სამუშაო ორგანოს გარეშე საქალაქო აღმასკომები ვერ მოერევიან იმ ამოცანებს, რომლებიც რეგიონების ეკონომიკის განვითარებისადმი ახლანდელი მოთხოვნების პირობებში წამოიჭრა. ნაკლოვანებანი კი ზრდის გარდაუვალი სინდესეებია. არ უნდა გვეშინოდეს მცდარ ნაბიჯზე უარის თქმა. ეს დროულად უნდა გაკეთდეს. იცით, როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს ელექტროტექნიკური მრეწველობისა და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა ფოთელთა მოთხოვნას, რომ ქალაქისთვის გადაერიცხათ ზეგეგმითი მოგების ნაწილი?! მაგრამ დარწმუნდნენ: ეს ეფექტიანად უწყობს ხელს სოციალური პრობლემების გადაწყვეტასაც და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. თვეზის მეურნეობის სამინისტროშიც კი „მოტკბნენ“. წინათ ისინი ამბობდნენ: ვითომ, რის გაკეთება შეიძლებოდა ტერიტორიულ-სადარგთაშორისო გაერთიანებას იმისათვის, რომ ოკეანეში თევზმა იმრავლოსო? თევზისათვის — ვერაფერს, მაგრამ ადამიანებისათვის ბევრ რამეს გააკეთებს.

დიახ, საბინაო შშენებლობის მასშტაბაზე ან მაგალითად, კულტურულ-სპორტული კომპლექსის განვითარებაზე სემინარის მონაწილეებს მხოლოდ ციფრების მიხედვით შეეძლოთ ემსჯელათ. აი, ფართო მოხმარების საქონლის თაობაზე

ცნობილი უკრაინელი ხალხოთა მწერლის, უკრაინის სსრ ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვასილ სიდორის ძე ზემლიაკის (ვაციკის — 1923-1977 წწ.) დილოგია-რომანი „გედების გუნდი“ და „ზელენი მლინი“ (სოფლის სახელი; სიტყვასიტყვით — „მწვანე წისქვილები“) ნიჭიერად და თავისებურად დაწერილი მხატვრული ტილოა, რომელიც მოიცავს პერიოდს სასოფლო-სამეურნეო კომუნების ჩამოყალიბებიდან დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულებამდე.

სიუჟეტი ისტორიულია. დამთავრდა სამოქალაქო ომი, ქვეყანა გაპარტახებულია, მისი აღდგენა და განვითარება სოფლის მშრომელებზეა დამოკიდებული, მაგრამ არამც და არამც ძველი გზით, არამედ მხოლოდ ახლით, პარტიის მიერ დასახულით. და აი, მკითხველი ეცნობა პირველ კომუნას, მის ავ-კარგს; მერე — კოლექტიური მეურნეობის ჯერი უკვალ გზას, გაძლიერებას, აყვავებას... და — დიდ უბედურებას — ომს, რომელიც უდიდესი მსხვერპლით, მაგრამ გმირულად გადაიტანეს სოფელმა, ხალხმა.

მკითხველს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს რომანის მთავარი გმირები მაქსიმ ტენლია, მალვა კოეუშნა, ლუკიანე და დანკო სოკოლიუკები, ფილოსოფოსი ფაბიანე და ევტუშოკ გოლი, სხვა მოქმედი პირები მისი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. ავტორის ცხოვრებისეული ფილოსოფიური ჭვრეტა, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომა (ზოგჯერ ინტუიციურიც), უმდიდრესი უკრაინული ენის საოცარი მოქნილობა, ხალასი ხალხური იუმორი — ეს ყველაფერი რომანის ღირსების საფუძველია.

დილოგია-რომანის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, საინტერესო შინაარსთან ერთად, ეს არის უკრაინული ხალხური მეტყველებიდან აღებული და მადლიანი ნიჭით დახვეწილი, ფხიანი და სხარტი ფრაზები, ერთი შეხედვით სადა, მაგრამ განუმეორებელი სტილი, რასაც შემოქმედის ენა ეწოდება.

უკრაინული კრიტიკა ვასილ ზემლიაკის დილოგიას ახალ მიმართულებად მიიჩნევს რომანისტიკაში (ე. წ. „ქიმერული რომანი“), რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ამ გასაოცარი შემოქმედის მემკვიდრეობისადმი, ადარებენ მას მსოფლიო სახელებს. დილოგია-რომანი მრავალ ენაზეა თარგმნილი, გადადებულია კინოფილმი. ქართულად იბეჭდება პირველად.

გთავაზობთ ნაწყვეტს რომანისა „გედების გუნდი“ (დილოგიის პირველი წიგნი), რომელიც უკრაინულიდან თარგმნა გრიგოლ სიხარულიძემ. მკითხველი მას იცნობს გამოჩენილი უკრაინელი იუმორისტის ოსტაპ ვიშნიასა და მისი ძმის სატირიკოს ვ. ჩეჩვიანსკის (პავლო და ვასილ გუბენკოების) მოთხრობათა კრებულებიდან, აგრეთვე ეგზენ გუცალოსა და სხვა უკრაინელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებით, რომლებიც ცალკე წიგნებად და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ბოლო 20-25 წელიწადში.

ვასილ ზემლიაკი

ბაბილონი და ორი ახირებული

ბაბილონი ჩვენი ძველთაძველი, რა დასამალია, მრავალცოდვილი, და მაინც ჩაუქრობელი ბაბილონი, შუამდინარეთისაგან ნასესხები სახელწოდების გარდა რამე საერთო რომ არ გააჩნია მესოპოტამიის ბაბილონთან. დგას, როგორც ოდითგანვე იდგა, სამხრეთ ბუგის ნაკლებად ცნობილი შენაკადის, მდინარე ჩებრეცის სანაპირო ბორცვებზე, წყალდიდობის ჟამსაც შეუმჩნეველად, გვალვაში კი შიშნარევი ბუტბუტით რომ მიედინება. ცაცაბო სანაპიროზე მთელ ზაფხულს ყვავის ყვავილთა შორის ყველაზე პატარა, მეტისმეტი სილურჯისაგან ჩამუქებული ურცი, მდინარისათვის თავისი სახელი რომ უბოძებია. გადმოუხირეთია ჩებრეცს იფნის, არყის ხის, შოთხვის ტყეთა ჯარი და თვითონვე ჩაკარგულა შიგ, ოღონდ სულ მცირე ხნით — გასცდება თუ არა ბაბილონს, დაუძვრება ძველ თხმელნარს და უკვე არტახებშეხსნილი მიედინება ნება-ნება არცთუ ისე უცნობი მხარის — ჟურბვისაკენ, სადაც მას გზას უღობავს ჯებირი, იქიდან კი გადაჯრის ავმნიან ტრამალებს, ჩაუვლის გლინსკს და იქვე ერთვის სამხრეთ ბუგს...

იმ გზის გასწვრივ, ლელქაშებსა და ქვა-ღორღში რომ გახლართულა, მოქიშპე კოშკებივით ალმართულ რამდენსმე გორკაზე გამოკიდულა ბაბილონი, ოდინდელიც და გვიანდელიც, ერთ სხეულად შეკრული უძველესი ჯებირით, რომელსაც ყოველ გაზაფხულზე წალეკავს ხოლმე წყალდიდობა და თითქმის ხელახლა მოსაზვინი ხდება. ამ გაზაფხულს ჯებირი, მგონი, პირველად არ წაუღია წყალს და მის უკან კარგა მოზრდილი ტბორი დადგა, სადაც ეს-ესაა იდღესასწაულეს ივან კუპალა, ხოლო ზამთარში, როცა ტბორს ნათლისღების ყინვები შებოკავს, აქ დღესასწაულობენ იორდანეს, რაღაც მხიარულ და დაუვიწყარ სახობად აქცევენ ამ სუსხიან ზეიმს. როგორც ძველად პოლონეთში, აქაც ყოველ ეზოს „საზღვაო სახელმწიფოდ“ მოაქვს თავი, რადგან აქვს „ზღვაში“ თუნდაც ბეწო გასასვლელი, სავსებით საკმარისი, რათა ორი ღერი ფიცარი გადოს თეთრეულის გასარეცხად და შიგ წყალში დათესოს კანაფი. ხოლო როცა ნათესი აბიბინდება და სულ იმის ცდაშია, მეზობლისას როგორმე გაუსწროს, მაშინ ერთი აქაური ახირებულთაგანი ვაცი-ფაბიანე (უკვე ეს სახელი რამდენადმე ნათელს ჰფენს მის პიროვნებას) ირჩევს ყველაზე მაღალსა და ძნელად მისადგომ ადგილს და იკეთებს ბუნგას, სადაც თავს იფარავს არა მარტო აბეზარი მწერებისაგან, არამედ, ამასთან ერთად, გამმარტოებით ეძლევა ფიქრებს ამ კანაფის სახელმწიფოზე, რომლის ისტორია დროით თითქოს არც კი იზომება...

ბაბილონში ორი ფაბიანე ბინადრობს — ვაცი და კაცი. კაცი — ეს არის სახელგანთქმული აქაური მეკუბოე და ბრძენი, ვის სამსახურსაც, რაც უნდა ეცადოს, ვერ ასცდება ბევრი ბაბილონელთაგანი. დაბადების მოწმობის თანახმად ეს არის ლევკო ხორობრი, ამბობენ, წარმოშობით ბაბილონელ ბრძენთ ენათესავებო, თუმცა ამის რაიმე უტყუარი მტკიცება არ გააჩნიათ. მშობლიური ისტორიით გატაცებულ ამ კაცს თუ დავიჯერებთ, ჩვენი ბაბილონი ოდესღაც მიწაყრილებით შემორაგვული ორიარუსიანი ბოსტანი ყოფილა, რომლის ნაკვალევი დღესაც შემონახულა; ორი კოშკი ჰქონია — ჩრდილოეთისა და სამხრეთისა, რომელთაც დღედაღამ იცავდა ყარაული. ბაბილონის შუა კი მდგარა ზეცას მიბჯენილი, ასე წოდებული მზის ქვა, მსგავსი ძველი ინკების ცნობილი საოცრებისა...

ასეთი გახლავთ ბაბილონი. ხან ამობიუგება, კაცმა არ იცის, რისთვის და როგორ, ხან კიდევ მდიდრულად აელვარდება, გორაკებზე შეფენილ ღარიბთა ქოხებს შორის მოთუთიებული სახურავებიც აღაპალპდება; ხან ნაკრისფერ ხარებს მოაშენებს, თანაც იმოდენა რქებიანს, გზაზე გვერდს ვერ აუვლი, ხან სულ ერთიანად გადაამენებს და მომცრო, მარდად გამწევ მონღოლურ ცხენებს დაეხარება...

ამა სხვაგან სად არის ჩვენი ბაბილონისთანა! კიდევ სად იპოვით ისეთ ყოჩაღ ფილოსოფოსს, ასე კოხტად და მოხდენილად დაკლაკნილი ქუჩებით საკუთარ ვაცს საუზმეზე რომ მიპაყადეს...

ფაბიანენი არ უჩიენან ჯანს, მაგრამ ორთავეს ერთი სენი სჭირს — ყოველთვის ვერ გრძნობენ ქვეყნის მხარეებს. ვაცს ეს სენი მწვავე შიმშილობის დღეებში მიეძალება ხოლმე, უმეტესად ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე, როცა ამ მშვენიერი მხარის უგებრიელეს საკბილოს სარდაფსა და ხულში კეტავენ (მხოლოდ მისგან!). რაც უფრო ცარიელია ვაცის კუჭი, მით უფრო ძნელად გადააქვს ეს საშინელი სენი და მუდამ მშობლიური სახლის სპარისარუნი მხარეს გარბის, ხატა კი თითქმის ყოველთვის ცარიელი აქვთ. ვთქვათ, ვაცი შინ მიდის, მაშინ ქარის წისქვილებსაკენ, ჩრდილოეთით უნდა გასწიოს, ის კი სამხრეთისაკენ მიბაკუნობს, თუმცა მშვენივრად იცის, საჭირო მხარეს რომ არ მიემართება. ფაბიანე-კაცს ეს სენი მაგრამ რევოლუციისათვის თავი დიდად არ გამოუდვია და არც რაიმე დამსახურება მოუპოვებია. ფაბიანეს ფილოსოფიური ნიჭი ცოტა მოგვიანებით გაიფურჩქნა, ბოლო მიწათმოწყობის ორომტრიალში, როცა ფილოსოფოსებმა აგრარიებს დაუთმეს ადგილი.

ამ ახირებულმა საჯაროდ განაცხადა უარი ნადელზე საზოგადოების სასარგებლოდ და სხვებსაც ამასვე მოუწოდებდა, რის გამოც მაშინვე დაკარგა ჭკუაზე მყოფი ბაბილონელის სახელი, თუმცა ზოგიერთი გადახრა წინათაც გამოუვლენია. ასე, ფაბიანემ გაყიდა ერთადერთი ცხენი, რომელმაც სახელი იმით დაიგდო, რომ არ დაანება თუნდაც ერთხელ შეებათ უღელში, საზღაურად კი (მთელ ცხენში!) ოქროს სათვალე მიიღო, რაც ბაბილონმა საღი აზრის მწვავე დაცინვად ჩაუთვალა. ხოლო როცა ძველი ბაბილონელი მეკუბოე მიიცალა, სახელად პანკრატი, მაშინ ლევკო ხორობრიმ აინუნშიც არ ჩააგდო თავისი არცთუ ისე ხანდაზმული ასაკი და უყოყმანოდ დაიკავა ეს საჩოთირო ადგილი. არც არის გასაკვირი, ყოველი ფილოსოფოსი საკუთარი გაუკვალავი ბილიკებით აღწევს უკვდავ აზრთა მწვერვალს.

ახალ თანამდებობაზე ფილოსოფოსს საკმაოზე მეტი თავისუფალი დრო აღმოჩნდა და ფაბიანეც პანკრატისაგან დაზგის უჯრაში ფაბოვებული წმიდა წერილების კითხვაში ჩაეფლო, მერე კი საერო ფილოსოფიურ თხზულებებსაც მისწვდა და საკმაო ფხა და მოთმინება გამოავლინა. ამ ჯერის წიგნებს მეტწილად ვაცის სამშობლოში, გლინსკში შოულობდა, მათი კითხვისაგან კი სრულ — ჯერ ხორცეულ, მერე სულიერ გადატკბამდე მივიდა, რასაც ეგებ მეჯვრემეტყველურად მოწმობდა ვაცის ყიდვა; ამას ბაბილონი სხვად არად მიიჩნევდა, თუ არა ხორობრის ფილოსოფიური აზროვნების „მწვერვალად“. არავის სურდა შეეშინა, რომ ლევკოს ამ ახირებულ ნაბიჯს აზრის სიღატაკე კი არ ადგმევინებდა, არამედ ფილოსოფოსის გამოუვალი გაჭირვება და მხეკოვალე სურვილი დაეძლია ეს გასაჭირი რადაც უნდა დასჯდომოდა.

მეკუბოის მცირე საფასურის გამოისობით სასოწარკვეთამდე მისული ხორობრი კარგა ხანია ერთი ეშმაკური გაზზრახვის მოკვლრახჭინებაზე ფიქრობდა, რის წყალობით გამდიდრებასაც კი აპირებდა, მით უმეტეს, რომ ეს საქმე თვითონ მისგან, როგორც მეკუბოისა და ფილოსოფოსისაგან არას მოითხოვდა, ესე იგი არაფერს ცვლიდა მის წინანდელ უღიმღამო ცხოვრებაში. ამ ჩანაფიქრს ფილოსოფოსი ერთადერთ შესაძლო ნიმუშად თვლიდა ისეთი გაუნებიერებელი პიროვნებისათვის, როგორადაც მას საკუთარი თავი წარმოედგინა. სათვალით შეიარაღებულს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ჩვენს სახელმოხვეჭილ ბაბილონში უთვალავი თხა ჰყავდათ, მაგრამ ვაცისთვის თავი არავის შეუწუნებია და უცოდველი ნეზვები თვით გლინსკში მიჰყავდათ, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ განთქმული ადგილი იყო. ასე რომ, გლინსკში აუცილებელ საფასურს გარდა გზის ხარჯიც უნდა გაეღოთ, არადა, ზედმეტ გასავლასაც ასცდებოდნენ და ფილოსოფოსიც იმ საზღაურს საკუთარ ცარიელ ჯიბეში ჩაიჩხრიალებდა, ერთი გაქუცული ვაცი რომ ჰყოლოდა მაინც. შიშობდა, ამგვარი ჭკვიანური აზრი სხვასაც არ მოსვლოდა და კუბოს საფასურისაგან ყოველთვის გადაინახავდა ხოლმე ორიოდ გროშს (იმ წელიწადს ზედიზედ რამდენიმე შეძლებული მუშტარი შეხვდა). ჰოდა, პირველსავე სოფოსსაც აეკიდა. არც ისე დიდი ხნის მერე კი ლევკო ხორობრი მხოლოდ ბაბილონელთა მეხსიერებასა და სოფლსაბჭოს ზონარგაყრილ დავთრებსღა შემორჩა. სხვა ვინმე ხმას აღიმაღლებდა ბაბილონელთა ამ თვითნებობის გამო და უეჭველად მიადგებოდა სოფლსაბჭოს საქმეგოდ, მაშინ როცა ჩვენმა ფილოსოფოსმა ეს სახელი მხოლოდ ზედგამოჭრილად კი არა, სავსებით აუცილებლადაც ჩათვალა, რადგან ადრევე დარწმუნდა, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს განსხვავებული, რაღაც უჩვეულო სახელი უნდა ერქვას, რაც თავისთავად გამოარჩევს მას ბრბოსგან და საფიქრალისკენაც უბიძგებსო. პლატონი, სოკრატე, სენეკა, სპინოზა, სკოვოროდა, და, დაბეთ, კარგა ხნის შესვენების მერე — ფაბიანე! განა ვერა გრძნობთ, თუ როგორ მოქმედებს თქვენზე ამ შესანიშნავ სახელთა თუნდაც ყოფილადობა, თითქოს ისინი უზარმაზარი აზრთა ტაძრები ყოფილიყვნენ. ასე და ამგვარად, ვაცის ყიდვა ამ მხრივ სავსებით გამართლებული გამოდგა; რაც შეეხება ნავარაუდევ დანაზოგს, რის იმედიც ფილოსოფოსს ჰქონდა, აქ მან სრული მარცხი იგემა, ვინაიდან ვაცისაგან გროშიც არ შემოსულა, პირუტყვის ცდუნებას მუდამ მომზდარი ამბის მერე, მოგვიანებით იტყობდა; ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ ზოგიერთი თხის პატრონი მადლობის თქმასაც არ იმეტებდა ვაცის სამსახურის წილ, თუმცა ფილოსოფოსს არ შეეძლო რაიმე სამდუღაი ეთქვა მათთვის თუნდაც რომის სამართალის ძალით, რომელსაც კინაღამ მიმართა თავისი წაწოწყვნების გაკოტრების შემხედვარემ; სარჩელი არ აღუძრავს, მიუხედავად იმისა, რომ ვაცი სოფლსაბჭოს ყველა აღწერის თანამად კვლავ ლევკო ხორობრის საკუთრებად რჩებოდა.

დავთარში აღნუსხული იყო ვაცის ფერი (ფერისცვალების ხანგრძლივობის კვალობაზე), ღირებულება მტკიცე ფასებში, თვალდათვალ ნავარაუდევი წონა და ნაკლებად დასაჯერებელი წლიური შემოსავალი, ვაცისაგან სარგებლის გადასახადით რომ უნდა მიეღოთ. სოფლსაბჭოს მდივანს ნამეტანი უყვარდა წვლილად აღნუსხული საბუთები.

აქ სხვა რამეც უნდა ითქვას ფაბიანე-ვაცის ჯილაგზე. რამდენადაც ვაცს წვერი სიბრძნის უტყუარ იერს ანიჭებდა, იმდენად გრეხილი რქები მისი უსაზღვრო ცალიანობა და სამმაციის გამოხატულებად გვენიშნებოდა, რქათა რეგვანა გამჭვირვალე, სადაფისფერი ჰქონდა, შუადამ ნორჩ რქის წვეტებში ისე ატანდა სინათლე, როგორც ბწყვანე ქლიავში. რაღა გასაკვირია, ვერავინ ბედავდა, ხელი შეეშალა ვაცისთვის, როცა იგი ნასადილევს გუბურისაკენ დასაწყურლებლად მიბაკუნობდა, ანდა საღამო ხანს ქარის წისქვილებთან ვავიდოდა სოფლის ნახირის შესახვედრად, მერე ყოჩის ადგილს დაიკავებდა და ამაყად მიუძღვებოდა ბაბილონისაკენ ნაირფერ ოთხფეხს...

ვაცი იშვიათად თუ გაუშვებდა ხელიდან ასეთ საზეიმო ჟამს, ვინაიდან, პატრონისაგან განსხვავებით, რომელიც თანდაყოლილი უბრალოებისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით მუდამ ჩრდილში იმყოფებოდა, ერკემალი ფუჭად თვლიდა ცხოვრებას გმირობის ჩაუდენლად, ასპარეზზეც სწორედ გადაწყვეტ წუთებში გამოდიოდა და მაშინვე გარდაისახებოდა ხოლმე. ბოტი ქარის წისქვილის ბორცვიდან ტკბებოდა იმის ცქერით, თუ როგორ მიედინებოდა დაბალ ნახირი, რომელსაც საოცარ შარავანდედად ადგა თავს მტვრის ბუღი. ზოგჯერ სოფლის ჯოგი ბაბილონისათვის ღამეული ლაშქრობიდან დაბრუნებულ დაქანცულ ჯარსაც მოაგონებდა. თუ ნახირი ბოლოს ეტუტეს ერთი ბაბილონელი მეტრეკი იყო, რომელმაც კარგა ხანია ჩაიფიქრა ვაცის გადაბირება. უფრო ზუსტად, კაცს სურდა თანდათანობით გაეშინაურებინა, მერე კი სულაც მიეფვლებინა პირუტყვი ოა ამის წყალობით უღიმღამო საშუალო გლეხიდან უფრო მაღალი ქონებრივი ცენზის ბანაკში გადაბარგებულიყო, — ეტუტეს პირდაპირ გულს ურევდა სიტყვა „საშუალო“.

ცხადია, ვაცის ეს მომავალი პატრონი წვერცანცარასთვის თავისუფლების აღკვეთასაც თვალსწინებდა და მისგან გარკვეული ფულადი სარგებლის მიღებასაც მოელოდა. გამდიდრების სურვილით ხომ ყველა ღატაკი ერთმანეთსა ჰგავს, ალბათ უფრო თავიანთი სიბეცით.

სადილს ეტეტუხთან ჩრდილში, მსხლის ქვეშ მიირთმევდნენ, სადაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა. ვაცი ცუდს არას მოელოდა აქ და უსახლკარო მაწანწალის გულმოდგინებით მიდიოდა. სადილს მერე, ეტეტუხისა არ იყოს, წაძინებაც უყვარდა, კაცს საზღაურზე ეძინა, ვაცს კი ერთი სართულის ქვემოთ, საზიდრის ქვეშ, სადაც ძლივს ატევდა რქებს, გვერდიდან კიდევ ერთ წყვილ, ცხადია, უსოლებო, ბორბალს რომ მოგაგონებდათ. ვაცს მეტად იზიდავდა ამ მრავალშვილიანი ოჯახის გარემო, რომელსაც ერთი ნაგლეჯი მიწა ჰქონდა სადღაც ქვეყნის დასალიერში, ხოლო აქ, სახლის ახლოს, ბილიკით ჩადიოდა მდინარესთან, საკუთარ სარეცხ ბოგირთან, ციცქნა ძახველის ბუჩქით დამშვენებულ სათბთან; გვერდით ზღაპრულად ატეხილიყო კანაფი, სადაც ფრთხილი ეტეტუშოკი ხშირად უსაფრდებოდა არშიყ მეზობლებს, ეს კია, უშედეგოდ. ამ ჭუთებში ვაცს საკმაოდ მიმზიდველი ეჩვენებოდა ეტეტუშოკი, კანაფში მწოლიარეს ღალატს რომ უპირებდნენ. უფრო მეტად გოლი დღესასწაულის ჟამს ელავდა.

სხვებივით არც საყდარში დადიოდა და არც მოყვრებში სტუმრად, ნათესავებსა და ნათლიებსაც კი არ ნახულობდა, რადგან მაშინ თვითონაც უნდა დაეპატიჟებინა, ეს კი ხარჯი გახლდათ, რასაც ეტეტუშოკი ვერ გასწევდა უფრო არა სიღატაკის, რამდენადაც სიძუნწის გამოისობით. ჰოდა, ხალხში გამოსასვლელად გოლიმ უკეთესი ხერხი იპოვა.

ეტეტუხი კვირა დღეს მოქარგულ პერანგს ჩაიცვამდა ხოლმე, ზედ შავ ჯუბას მოირგებდა — ეს იყო ერთადერთი ნივთი, რომელიც მას პანის ნაქონიდან ერგო, ქალის ქუდი კი თვითონ დაიწნა; ასე გამოპრანჭული აიტუზებოდა ქანდარასთან დილიდანვე და გაუნძრეველად იდგა მანამ, სანამ ქვეყანას არ აჩვენებდა, ნახეთ, რის ბატონ-პატრონი ვარო. ახლა შარვალს არ იკითხავთ? ეს აუცილებელი სამოსი სწორედ სიძვილის განსახიერება იყო. ეტეტუს ფეხები მუდამ დახეთქილი და მოხარშული კიბორჩხალასავით დაწითლებული ჰქონდა, — და ამას შარვლიანად გულმოდგინედ მალავდა ქანდარის მიღმა, სამაგიეროდ შეეძლო უსასრულოდ ეჩვენებინა ტანსაცმლის ზედა ნაწილი. და რიგ გამეელი თავაზით, თან ამპარტავნულადაც კი ესალმებოდა, იმათ ალბათ ეტეტუხი ვეირფას შარვალსა და დეკეულის ჩექმებში გამოწკეპილი წარმოედგინათ, რახან წელზე სანუკვარი სამფეროვანი შალის სარტყელი ერტყა ბაბილონელ მემამულეთა დარად.

ეზოში ან მსხლის ქვეშ წამოწოლილ სადილის მომლოდინე ვაცს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა უჯიშო გოლის ქცევა, თვითონ ეტეტუხი კი არ ერიდებოდა პირუტყვს, დარწმუნებული იყო, ვაცი ვერ მიუხვდებოდა გულუბრყვილოთათვის გათამაშებულ ამ მცირე ოინს. ეტეტუშოკი არც მეზობლებს, თავის მოსისხლე მტრებს, აქცევდა ყურადღებას, არც კი ცდილობდა დაეფარა მთაგან ის საობრე ქვედა ნაწილი, რომლის არსებითი ნაკლი მხოლოდ ცოლს — პრისიას თუ გაეგებოდა. ეტეტუშოკს სხვა სადარდელი ადარდებდა — პრისიას ნაშიერი ბიჭები, ყოველ წელიწადს რომ ემატებოდა ოჯახს, აშკარად არა მგვანნო. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ხშირად იპყრობდა მტანჯავი ეჭვი, რასაც დიდი ოსტატობით მალავდა იმის მოლოდინში, მოხერხებულ ჟამს სოკოლიუკებს სასტიკად გადაეუხდი სამაგიეროსო... ასეა თუ ისე, ეტეტუშოკი მაინც ეცდება გულდასმით შეამოწმოს მომავალი ბიჭის წარმომავლობა... ამჟამად კი მთავარია დაისაკუთროს ვაცი, გოლის მოთმინების ფიალა რომ აავსო.

ნასადილევს საზიდრის ქვეშ ტკბილი წამძინების მერე იმ შეჩვენებულს არ ავიწყდებოდა დაბრუნებულიყო ფილოსოფოსის თავშესაფარში, რომელმაც კარგა ხანია ამოიცნო ეტეტუხის შორს გამიზნული ზრახვები და სათვალეაფარებული ღიმილით ელოდა კვანძის გახსნას. ფილოსოფოსი არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა, ამხანაგი მხოლოდ იმისთვის დაეკარგა, რომ ზენა სოციალურ ფენაში კიდევ ერთი გახრკეული საშუალო გლეხუჭა შეეტენინა.

ჩვენი სეხნიების სოფლსაბჭოსადმი დამოკიდებულება მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი. ყოველი წლის დამლევს ფილოსოფოსი ნაღდი ფულით იხდიდა ვაცის გადასახადს, რაიც წვერცანცარას ასაკის კვალობაზე მცირდებოდა. იქნებ ყველაფერი ამით დამთავრებულიყო, თვითონ სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს პანკო კოჩუბეის მოწყალე თვალით რომ არ შეეხედა ვაცისთვის. ეს კაცი შესანიშნავად უთავსებდა მაღალ თანამდებობას თავის ძველ ხელობას და ნაცვლად ამისა, რომ რევოლუციურ ყაიდაზე აღეჭურვილიყო, რითაც ასე ამაყობდნენ მაშინდელი თავმჯდომარეები, ჩექმის ყელში ძალაუფლების რაღაც სხვა მაცნეს — ფოლადის ბრტყელ სადგისსა და გრძელ ორლესულ დანას ატარებდა. ამგვარად შეიარაღებული კოჩუბეი შიშის ზარს სცემდა წესრიგის დამრღვევთ. თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ სოფლსაბჭოში მუდამ არ იქნებოდა და როგორც წინათ, არჩევამდე, ახლაც არ თაკილობდა გოჭების დაკოდვას ბაბილონში, მერე კი, უკვე ღორებს, კლავდა, ცხადია, ასევე ქირაზე. დანის ხმარებას სასწაულებრივად დახელოვნებული პანკო მაყურებელსაც არ უგულებელყოფდა მეტი შემართებისათვის, ჰოდა, ჰყავდა კიდევაც ვაცის სახით. ის წყალული ერთხელაც არ გამოტოვებდა აქ საზიობაში თავმჯდომარის გამოსვლას, ალაფზე იღვიძებდა და კოცონებისაკენ მიბაკუნობდა, დღესასწაულის წინ ბაბილონის ხან ერთ და ხან მეორე უბანში რომ აბრიალდებოდა.

ჯოჯოხეთური ძალით შეიჭრებოდა ხოლმე სურნელოვანი კვამლი ფილოსოფოსის ფარფალალა ხატაში და ისეთ ტანჯვას აყენებდა, რასაც დიდმარხვის შემნახველი კაცისთვის თუ მოიგონებდა ვინმე. რაღა სათქმელია, მარხვას ქრისტიანული წესის გამო როდი ინახავდა. ასე იყო თუ ისე, არავის უფიქრია, დაეპატიჟებინა ფილოსოფოსი კუჭმაჯზე, დაბნედამდე რომ სურა სურდა საცოდავს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, იმ ადამიანის უპატივცემლობა იყო, ვისი სამსახურიც ადრე თუ გვიან მაინც დასჭირდებოდათ ტახების პატრონებს. როცა სურნელოვანი ოხშივრით გაფოქნილი ვაცი შინ ბრუნდებოდა, ფილოსოფოსი ხატადან აგდებდა ამ ვეგეტარიანელს და ისიც იძულებული იყო წინკარში ქარისთვის მიეშვირა გვერდები მთელ ღამეს. შესაძლოა ფილოსოფოსი ამით მეუხვედრელი ბაბილონელების სანაცვლოდ ვაცზე იყრიდა ჯავრს. არადა, ტახები მეტად მაცდუნებლად აბნევდნენ სურნელს. ეს მით უფრო იგრძნობოდა, როცა ლეკვის პირდაპირ გვერდებში უბერავდა გამჭოლი ქარი.

ზამთარში, როცა გუბურა იყინებოდა, უწყლოდ დარჩენილი ვაცი ხშირად აკითხავდა ხოლმე სოფლსაბჭოს, სადაც შეეძლო წყალი მუხის კასრდან დაელია; წყალს აქ ყოველდღე ცვლიდნენ. თავმჯდომარე არ დევნიდა ვაცს. უფრო მეტიც, ვაცი, ისევე როგორც კოჩუბეი, პირდაპირ კასრიდან სვამდა წყალს. ვაცი მეტისმეტად ამაყობდა ამ უპირატესობით და ერთხანს, პანკოს მერე, მეორე კაცადაც კი მოჰქონდა თავი.

საბჭოს მდივნის თანდასწრებით ვაცი ვერ ბედავდა სოფლსაბჭოს წყლის დალევას კასრიდან, რამაც ცოტა დაამცირა საკუთარ თვალში, უნებლიეთ მეორეხარისხოვან არსებად აქცია. მაგრამ წინანდებურად რეგვენის სიჯიუტით ესწრებოდა ყველა სხდომასა და კრებას, თვლიდა, ღირსეულად წარმოვადგენ ორთავე ფაბიანესო. ვაცს არათუ არ აგდებდნენ, ხალისითაც კი უზიარებდნენ ბაბილონის საიდუმლოებათა ნაღებს, ხოლო კოჩუბეი ისე შეეჩვია წვერცანცარას დასწრებას, რომ უმთავრესი არცერთ მნიშვნელოვან სხდომას არ დაიწყებდა. „დაველოდოთ ფაბიანეს“, — ჩაიცინებდა თავმჯდომარე და კრინტს ვერავინ შებედავდა, რაკი ყველამ იცოდა, რომელ ფაბიანეზეც იყო ლაპარაკი. ეგებ აქ ერთ საკვირველ ვითარებასაც ჰქონდა მნიშვნელობა. რაკი მეორე დღეს მთელი ბაბილონი ტყობილობდა სოფლსაბჭოს კლასობრივ საიდუმლოებებს, ამაში დამნაშავე, როგორც წესი, ყოველთვის ვაცი რჩებოდა, რაც ხელს არ უშლიდა კოჩუბეის შემდგომშიც დაეშვა ეს ყბედი ყველა საიდუმლო სხდომაზე. რაც შეეხება ფაბიანე-კაცს, მას ჯერ კიდევ არასაიმედოდ თვლიდნენ, დიდი პოლიტიკის მიღმა ტოვებდნენ და ეს ბაბილონის სოფლსაბჭოს ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო, რასაც ვერ გაამართლებდა ადამის მოდგმასავით ძველი შეგონება, აჭაოდა, შინაურ მდგდელს შენდობა არა აქვს, და სოფიელიც ვერ ცნობს მომავალ გმირსო.

. . . . . .

სიბერეში ფაბიანე-ვაცი საქანელას შორიახლო მოიკალათებდა ხოლმე, უფრო ასკილის ბუჩქებქვეშ უყვარდა წოლა, რომელთაც დასკდომაზე ჰქონდათ კვირტები. ვაცი წვერს გაქუცულ მუხლისთავებს დაიფენდა და არხეინად ადევნებდა თვალს საქანელას, რომელსაც ბაბილონელებს შეწყალებული კრამატორსკელები დააფრენდნენ. რქოსანს იმის გაფიქრებაზე აერეოლებდა, ეს ხალხი, ახლა სიხარულით ცას რომ სწვდება, ვინ იცის, ამ ნეტარებას ოდესმე ზედაც გადაჰყვეს, მაშინ ლევკო ხორობრი ყოველ მათგანს რიგიან კუბოს გაურანდავდა. უკვდავად მხოლოდ საკუთარ თავსა და პატრონს აღიარებდა, ეგებ იმიტომაც, რომ ორთავენი ჭერაც არ შემდგარიყვნენ საქანელაზე. კაცს სიმაღლისა ეშინოდა, ვაცსა კი ვერა და ვერ შეერჩია მეწყვილე.

ერთხელ ფაბიანე-ვაცი დაელოდა და როცა ხალხი დაიშალა და საქანელაც გათავისუფლდა, ნაზამთრალი შამბნარიდან გამოძვრა და თოკებზე გამოკიდულ ფიცარს მიადგა, ეგებ მეც დავარწიოო. ხერხი არ იცოდა, აბა ზედ როგორღა ავიდოდა. რომც მოეხერხებინა, ადგილიდან მაინც ვერ დაძრავდა, წამბიძგებელი არ ჰყავდა. მაშინ ვაცმა, ვისთვისაც ფანტაზია უცხო არ გახლდათ, თავი საქანელაზე წარმოიდგინა და რქებით ფიცარს უბიძგა. საქანელა წინ და მაღლა გაექანა, მერე კი ვაცთან დაბრუნდა. ჩანს, წვერცანცარას თამაში მოეწონა და ოინი გაიმეორა. მესამედაც ურქინა. უცად იმ სიმაღლეზე მოესურვა, ადამიანი რომ აღწევდა. როცა საქანელა გაჩერდა, ვაცმა უკან დაიხია, გამოექანა და მთელი ძალით რქები ფიცრის ძგიდეს აჯახა. საქანელა ცაში ავარდა, მოჯადოებული პირუტყვი კი, რა სიმაღლეს ვეწეიო, ხიფათს დროზე ვერ გაეცალა და მთელი სისწრაფით დაბრუნებული ფიცარი დაგრეხილ რქებში მოხვდა. ვაცი უგრძნობლად დაეცა...

უკრაინულიდან თარგმნა
გრიგოლ სიხარულიძემ.

თ. ხუციშვილის ნახატი.

ეშმაკების ეფექტი

ეროვნული ... ...
(ეძღვნება „თვალიერის“ სარედაქციო ... ...)

I.

ეს ვინ მოქარგა ზეცა მთიებით,
ან მიწა ვისი ნებით ირთვება?
ვისი სიიცხლე არის იები,
ან ვისი სული მოდის კვირტებად?

პაატას ცრემლი ჩნდება იებად,
ყაყაჩოები ცოტნეს სისხლია
ის, ვინც ხალხმა და ერმა იწამა,
ვისი სიიცხლეც ქების ღირსია.

მაგრამ მათ სახელს აბა რა ვუყოთ,
ვინც მტერს მახვილით არ შეეგება...
თბილისის კარი ვინ მტერს გაუღო
ამოსულია ახლა ეკლებად.

იმ ღვთიურ პანგებს ვინ აწკრიალებს,
ვინ შეაგება ნეტავ გულს გული,
ეს ანგელოზის ფრთები შრიალებს,
და ვარდს უგალობს ბაღში ბულბული.

ციხკრის ვარსკვლავი რაკი იციანის
სჩანს სიყვარულმა პატრონს მიაგნო.
მაგრამ ეშმაკიც იქვე სისინებს
გადაქცეული უკვე იაგოდ...

აღარ ივიწყებს ხალხი არაფერს
და სიკეთილისთვის არ ემეტება.
ანგელოზივით ცაში აფრენს
სამშობლოსათვის დამწვარ ქეთევანს.

მაგრამ ეშმაკის ლუკმა და კერძი,
ის შადიანიც აღარ ბერდება.
საქართველოში დღესაც რომ ებრძვის
ცოტნეს, პაატას, სანას, ქეთევანს.

ათასი სახით და მისამართით:
მრუდე ხელებით, დასვრილ

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

უტიფარი მოთხოვნა

მტრული აქცია საბჭოთა კავშირის მიმართ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ახალი მტრული აქცია მოიმოქმედა საბჭოთა კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა პროვოკაციული განცხადება, რომელშიც უტიფრად მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების მუდმივ წარმომადგენლობათა 25 საბჭოთა დიპლომატიურმა თანამშრომელმა დატოვოს შეერთებული შტატები მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის.

ოფიციალური ვაშინგტონის ეს აქცია, რომელიც მოგონილი და სრულიად უსაფუძვლო საბაბით მოიმოქმედეს, მიზნად ისახავს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომ ძირისგამოთხრას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ეს ბოლო წლებია მიმართავს. მისი მიზანია გაამწვავოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, გამამაფროს მთლიანად საერთაშორისო ვითარება, რისთვისაც ჯიუტად იღვწიან ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული გავლენიანი პოლიტიკური წრეები, რომლებსაც არ სურთ კონსტრუქციული დიალოგი ხორციელდებოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

როგორც მეთვალყურენი აღნიშნავენ, ასეთი აქცია აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას საერთაშორისო გაერთიანების ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილსამყოფლის საკითხში. შემთხვევითი როდი იყო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ბრიფინგზე მრავალი ჟურნალისტი პირდაპირ აყენებდა ექვქვეშ ვაშინგტონის მოქმედების კანონიერებას. ეი-ბი-სის ტელეკომპანიის კორესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რეიგანის ადმინისტრაციას არ დაუსახელებია კონკრეტული ფაქტები და მან მხოლოდ უნიადაგო ბრალდებები იკმარა“.

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. მ. ბელონოგოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს ეწვია. გამართული საუბრის დროს მათ განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უხეშ პროვოკაციულ აქციასთან.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ხ. პერეს დე კუელიარის აზრით, „ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არ შეესაბამება შეთანხმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილსამყოფლის შესახებ“.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ეწინააღმდეგება როგორც არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, ისე საყოველთაოდ მიღებულ დიპლომატიურ ტრადიციებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკას, თქვა ნიკარაგუის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნორა ასტორგამ. ეს საშიში აქციაა, რომელმაც არ შეიძლება ჩრდილი არ მიაყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიის ატმოსფეროს. მისი მიზანია გაართულოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება“ უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მოქმედებას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივი მეთვალყურის მოადგილემ რიად მანსურმა. საერთაშორისო გაერთიანების წინააღმდეგ შეერთებული შტატების ეს ბოროტი გამოხდომა უნდა განვიხილოთ მჭიდრო ურთიერთკავშირით ნეგატიურ პოზიციასთან, რომელსაც ვაშინგტონი ადგას განიარაღების, ბირთვული გამოცდის შეწყვეტის საკითხებში, განაცხადა მან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბული ქვეყნების ლიგის მუდმივმა მეთვალყურემ კლოვის მაქსუდმა თქვა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროვოკაციული დემარში უაღრესად სერიოზულ ზიანს მიაყენებს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საქმეს. ჩვენ დიდად ვწუხვართ იმის გამო, რომ მტრობა ძლიერდება სწორედ იმ მომენტში, როდესაც ყველას იმედი გვქონდა, რომ დადასტურდებოდა ჟენევის სულისკვეთება, აღნიშნა მან.

მექსიკის მუდმივმა წარმომადგენელმა მარიო მოია პალენსიამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მოვალეა იცავდეს ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელმა ქვეყანამ.

ფოტოფაქტი

● ჩილე

პოლიციური ჩარევა

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პინოჩეტის რეჟიმმა სანტიაგოში საალყო წესებთან ერთად კომენდანტის საათიც შემოიღო. პოლიცია არმიის ქვეგანაყოფებთან ერთად განაგრძობს მასობრივ დაპატიმრებებს, აწყობს ჩხრეკას, ჯარისკაცებს მისცეს უფლება გაჩერონ ყველა, ვისზედაც ეეჭვნ მიეტანონ. ხელისუფლებამ დახურეს რამდენიმე ოპოზიციური გაზეთი. დედაქალაქის მუშათა კვარტალებში შეიყვანეს ტანკები. ჯარისკაცები იჭრებიან ბინებში, აწყობენ ჩხრეკას იარაღის ძებნის საბაბით. ქუჩებში პატრულობენ არმიის გაძლიერებული რაზმები. ყველა სატელევიზიო საუბარს უყურადღებენ, აკონტროლებენ კერძო მიმოწერას. დილეგებში ჩაყარეს ძირითადი ოპოზიციური კოალიციისა და დაჯგუფებათა ხელმძღვანელები. ყველა მათ ქვეყნიდან გაძევება ელით.

სურათზე: პოლიციური ჩხრეკა სანტიაგოში.

აფპ-საკლესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ბერლინი.** „სსრ კავშირი — კოსმოსური სახელმწიფო“ ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ბერლინში საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში გაიხსნა.

◆ **ბეირუთი.** ლიბანელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს მარონიტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ ორი გამაგრებული პოზიცია ჯეზელ-რიზანის რაიონში. პარტიზანებმა მოსპეს ორი ტანკი და ორი ჯავშანტრანსპორტიორი.

◆ **რომი.** იტალიის პალამენტის სენატში დაიწყო კამათი მთავრობის მიერ წარდგენილი საპროგრამო ეკონომიკური დოკუმენტის გამო, რომელიც მიმართულია მშრომელთა მასების ინტერესების წინააღმდეგ. წინადღით კი მთავრობამ, რომელსაც ზურგს უმაგრებს უმრავლესობა პარლამენტში, ძლივს მოახერხა დეპუტატთა პალატაში მიეღებინებინა ეს არაპოპულარული დოკუმენტი.

◆ **ქაბული.** დუშმანთა ბანდამ 16 კაცის შემადგენლობით იარაღი დაყარა ბალხის პროვინციის ჩარკენტის მაზრაში, რადგან შეიგნო, რომ უაზრობაა ავღანეთის შეიარაღებული ძალებისადმი შემდგომი წინააღმდეგობა. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ ავღანელი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულობათა გამოსასყიდად.

● საფრანგეთი

დაკაბული ვითარება

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა ქვეყანაში დაძაბული ვითარება შექმნეს.

მთავრობის გადაწყვეტილებით შემოღებულია მასობრივი პატრულირება პარიზის ყველაზე ხალხმრავალ სატრანსპორტო მაგისტრალზე, თავქვეყრის ადგილებში. ათასობით პოლიციელი და სამხედრო მოსამსახურე ამოწმებს დოკუმენტებს. ეჭვმიტანილებს ჩხრეკენ იქვე ქუჩაში. ყველა აეროპორტი, პარიზში შესასვლელი და გარეთა წრიული გზა შინაგანი უშიშროების ძალთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არის. გაძლიერდა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციების, სამთავრობო დაწესებულებების დაცვა.

პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შირაკმა ტელევიზიით გააკეთა განცხადება. მან მოუწოდა მოსახლეობას დაიცვას სიმშვიდე. განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს აღკვეთოს ტერორიზმის ტალღა. პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ ბოროტმოქმედნი და ისინიც, ვინც მათ წარმართავს, აუცილებლად დაისჯებიან.

● იაპონია

„კოსმეტიკური“ სანქციები

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ შემოიღო დამატებითი სანქციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კერძოდ, გათვალისწინებულია სამხრეთაფრიკული რკინის ბაღნის და ფოლადის ნაწარმის იმპორტის შეწყვეტა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეთათვის ტურისტული ვიზების გაცემის პროცედურის განმკაცრება და ორ ქვეყანას შორის „ავიამიმოსვლის გაყინვა“. თუმცა, ბოლო ღონისძიება სრულიად უაზროა, ვინაიდან ბოლო ოე წელიწადში უშუალოდ იაპონიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის არც ერთი ავიარეისი არ განხორციელებულა.

ყველა ეს ღონისძიება, რომლებიც შეეხებიან შტატებთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აქტიური კონსულტაციების პროცესში შეიმუშავეს, აშკარად „კოსმეტიკური“ ხასიათისაა და ფაქტობრივად არ ეხება იაპონიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს პრეტორიის რეჟიმის რასისტებთან. ადგილობრივ მიმმხილველთა აზრით, ახალი სანქციები, ისევე როგორც ანალოგიური ღონისძიებების წინა სერია, არსებითად არ შეამცირებს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვას, რომელიც 3,2 მილიარდ დოლარს აღემატება.

ყაბალი

მოპაჭრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

როცა თეთრები ფრთხილობენ

როცა ერთი ფიგურა ცუდად არის განლაგებული, ჩათვლეთ, რომ მთელი პოზიცია ცუდია, — ამბობდა საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ზიგბერტ ტარაში. ეს დებულება ძალას დღემდე ინარჩუნებს. ამიტომ სოფიის მატჩის მონაწილეები ცდილობენ მაქსიმალურად, ლოგიკურად, საღი პოზიციური სტილით ითამაშონ. ბულგარელი მიმმხილველები აღნიშნავენ მსოფლიო ჩემპიონის მიზანსწრაფულ, ყოველმხრივ გამართულ მანევრებს. რაც შეეხება პრეტენდენტს, მისი თამაში განსაკუთრებით მაშინ არის მოსაწონი, როცა თეთრებით იბრძვის.

მეექვსე პარტიაში ჩიბურდანიძემ ერთხელ კიდევ მიმართა გრიუნფელდის დაცვას, მის რეპერტუარში ახალ დებიუტს, სპეციალურად ამ მატჩისათვის რომ მოამზადა. გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ სულ სხვადასხვანაირად შეიძლება მოქმედება. თეთრები ერთგვარ უპირატესობას იღებენ, მაგრამ შავებსაც მდიდარი კონტრთამაში აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს დასაწყისი სავსებით შეესატყვისება ჩემპიონატის დინამიკურ, ენერგიულ სტილს.

პრეტენდენტს, რომელიც ორი ქულით აგებს მატჩს, ეტყობა, ძალების მოსაკრებად დრო სჭირდება. ამიტომ იგი ამჯერად ძალიან ფრთხილობდა, მით უმეტეს, რომ ჩიბურდანიძემ მერვე სვლაზე ახალი გაგრძელება გამოიყენა. უნდა ვიფიქროთ, მხედრის ეს მანევრი ახმელოვსკაიას მიერ წინასწარი მომზადების დროს გათვალისწინებული არ იყო. პრეტენდენტი ამჯერად ძირითადად საკუთარი პოზიციის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდა. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ მდგომარეობას ექსპერტები „ყაიმთან მიახლოებულად“ მიიჩნევდნენ.

ეს რომ სწორი შეფასება იყო, პრეტენდენტის საყაიმო წინადადებითაც დადასტურდა. ჩიბურდანიძეს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მეტოქეებმა ქულა გაიყვეს კიდეც.

მეექვსე პარტია

ახმელოვსკაია — ჩიბურდანიძე

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ᲂf6 2. c4 g6 3. ᲂf3 ᲂg7 4. g3 0—0 5. ᲂg2 c6 6. 0—0 d5 7. cd cd 8. ᲂc3 ᲂe4 9. ᲂe5 ᲂf5 10. ᲂf4 e6 11. f3 ᲂ:c3 12. bc g5 13. ᲂd2 ᲂc6 14. ᲂ:c6 bc 15. e4 ᲂg6 16. ᲂc1 h6 17. f4 de 18. fg hg 19. ᲂ:g5 ᲂd5 20. ᲂe3. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4:2 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მორიგი მეშვიდე პარტია დღეისათვის არის დანშნული.

გ. გამრეკელი.

საბურნირო ორბიტა

კალათბურთი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 სექტემბერს ლენინგრადში, მინსკსა და თბილისში დაიწყო სსრ კავშირის 54-ე ჩემპიონატი. **მინსკში** პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და მინსკის რტი. ანგარიშით 83:77 გამარჯვეს ცსკას კალათბურთელებმა, ალმა-ათის ასკსა და კიევის „სტროიტელის“ შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 97:69. **ლენინგრადის** ჯგუფში ადგილობრივი „სპარტაკი“ დამარცხდა ჩემპიონატის დებიუტანტთან — დონეცკის „შახტიორთან“ — 79:81. კაუნასის „ჟალგირისისა“ და კიევის ასკს შეხვედრა არ გამართულა, იგი მოგვიანებით გაიმართება: საყონტინენტთაშორისო კლუბების თასის მფლობელმა ვერ მოასწრო არგენტინიდან დაბრუნება. **თბილისში** დაძაბულად წარიმართა ბრძოლა მოსკოვის დინამოსა და რიგის ვეფს შორის. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე რიგელმა ვალდის ვალტერსმა გაათანაბრა ანგარიში, შეხვედრის დასასრულამდე 6 წამით ადრე ვალტერსი დაჯარიმდა, მოსკოველმა ვალერი სიზოვამ ზუსტად შეასრულა ორი საჯარიმო ტყორცნა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა, ანგარიშით 93:91 გაიმარჯვეს მოსკოველებმა. არანაკლებ საინტერესო იყო თბილისს „დინამოსა“ და ვილნიუსის „სტატიბას“ შეხვედრა. თამაშის პირველ ნახევარში ქულა-ქულაზე მიდიოდა და იგი დამთავრდა თბილისელთა მცირე უპირატესობით — 42:40. მეორე ტაიმში მასპინძლებმა, რომლებმაც თავიანთი ლიდერის, ტრავმირებულ ნიკოლოზ დერიუგინის გარეშე დაიწყეს ბრძოლა, უფრო აქტიურად წარმართეს თამაში და წარმატებასაც მიაღწიეს — 87:76. გუშინ თბილისში მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-„სტატიბა“ — 80:83, თბილისის „დინამო“-ვეფი — 89:74.

გზა გაღაკვუკაეტოთ უშრომელ შემოსავალს

აი სადამდე დაეცა...

ორნაირად აფასებდა თავისი აღსაზრდელების ცოდნას სიღნაღის დოსაფის ავტოსკოლის საწარმოო სწავლების უფროსი ოსტატი შალვა ხელაშვილი. თუ პირველი სკალის გრადაცია იყო „ერთიანიდან“ „ხუთიანამდე“, მეორე ტაქსა უკვე მტკიცე იყო — ასი მანუთი. ზუსტად ამდენად აფასებდა მექრთამე თავის კეთილგანწყობას მძღოლთა კურსების გამოცდებზე.

იგი მრავალი წლის მანძილზე საგამოცდო კომისიის უცვლელი წევრი იყო და უსიერცხვილოდ „ატყავებდა“ კურსანტებს. დანშაულებრივი მოქმედების სქემა პრიმიტიული და მარტივი იყო. იგი მორიგ მსმენელს „ჩაფლავებდა“ ხოლმე ეგრეთ წოდებულ საშნაო გამოცდაზე, რომელიც წინ უსწრებდა მეორეს, უკვე სახელმწიფო ავტოინსპექციაში, რითაც ოსტატი უიღბლო ახალგაზრდას აგრძნობინებდა საქმის მოგვარება შეიძლებაო. თუ როგორ — ამას ახსნა არ სჭირდებოდა. სკოლაში არ მალავდნენ, და ლამას ხმამაღლა ამბობდნენ, თუ გინდა გამოცდები წარმატებით ჩაბარო, ქრთამი უნდა მისცეო ხელაშვილს. და ისინიც აძლევდნენ...

ამ ქმედების უნამუსობა ორნაირია: ერთი ჯიბეს ისქელებდა უშრომელი შემოსავლით, მეორენი ყიდულობდნენ ავტომობილის საჭესთან დაჯდომის უფლებას, თუმცა სათანადოდ არ იცოდნენ საგზაო მოძრაობის წესები, არ ჰქონდათ მანქანის პრაქტიკული მართვის ჩვევები. ბევრი კურსანტი თავს არ იწუხებდა სახელმძღვანელოების ზუთხვით და მოლიანად ასმანეთიანი კუპიურების იმედზე იყო, რომელიც გზას უხსნიდა სასურველი „მართვის უფლებისაკენ“. სხვათა შორის, მექრთამე არ ერიდებოდა ფული გამოეძალა ამათთვისაც, ვინც სერიოზულად, კეთილსინდისიერად მეცადინეობდა ავტოსკოლაში. უკიდურესობამდე გათავხედებული, იგი თხოულობდა „კუთვნილ“ ას მანეთს ინვალიდისაგან, რომელიც მოკრძალებული პენსიით ცხოვრობდა, ტექნიკუმის სტუდენტისაგან, გუშინდელი ჯარისკაცისაგან.

ვინ იცის, ავტოსკოლის უფროსი ოსტატი სადამდე გაეკლეფდა კიდევ კურსანტებს, რომ ერთ ჯგუფს განცხადებით არ მიეძართა რაიონის პროკურატურისათვის. მექრთამე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შ. ხელაშვილს მიუსაჯა რვა წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდეთ. დამნაშავეს საკადრისად მიეზღო. ამავე დროს არ შეიძლება არაფერი ვთქვათ სიღნაღის ავტოსკოლის პერსონალის, მისი უფროსის ტ. ბასიაშვილის, მოადგილეების ა. ტალახაძისა და მ. შიუკაშვილის მორალური პასუხისმგებლობის შესახებ. ჩამოთვლილი მუშაკები შედიოდნენ საგამოცდო კომისიაში და, მაშასადამე, შეუძლებელია არ სცოდნოდათ, ვერ დაენახათ, რა ბოროტებას სჩადიოდა მექრთამე, რაც მათი წაყრუებით ხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელაშვილის გვერდით განსასჯელთა სკამზე უნდა მსხდარიყვნენ ქრთამის მიმცემენიც, რომლებიც გამოძიების დროს გამოაშკარავდნენ, ამჯერად მათ ერქვათ მოწმეები. კანონი ჰუმანურია, იგი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ პირთა განთავისუფლებას, რომლებმაც ქრთამის მიცემის თაობაზე საკუთარი სურვილით განუცხადეს სამართალდაცვითს ორგანოებს. ამიტომაც გამოძიებამ და სასამართლომ შესაძლებლად ცნეს ამ მოქალაქეთა მიმართ შეეწყვიტათ სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ მათ რომ თავიანთი მოქალაქეობრივი გაბედულება უფრო ადრე გამოეჩინათ, სიღნაღის დოსაფის ავტოსკოლაში დიდი ხანია ბოლო მოეღებოდა ამგვარ სისაძაგლეს.

ა. კოჩეტკოვი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ორშაბათი, 22 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საფეხბურთო მიმოხილვა (განმეორებით) (მ.). 10.10 — მოამბე. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა“. 16.55 — განცხადებები. 17.00 — „გამოგვეხმაურეთ, მედაფდაფებო!“ (მ.). 17.30 — დოკუმენტური ფილმი „მაია პლისეცკაია“. 18.40 — მოსწავლეთათვის. — „ჩვენი თვითმოქმედება“ (კონცერტი მონაწილეობენ ახალციხისა და ქვიშხეთის ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივები). 19.10 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის „საინტერესო და „არასაინტერესო“ პროფესიები“, (განმეორებით). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 21.00 — „ალო, აუქციონი?“ (განმეორებით). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი“ (საერთაშორისო ფესტივალის განსხვა). 0.10 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — თოჯინური ფილმი „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“. I და II სერია.

სამშაბათი, 23 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალი თავმჯდომარე“. 17.15 — განცხადებები. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდი ჩემს ბაღში“. 17.30 — „რატომ და რისთვის?“ (მ.). 18.00 — მოსწავლეთათვის. „სიტყვები ჩემი ჩანჩქერებია“ (განმეორებით). 18.25 — „მუსიკალური ფოსტა“. 19.10 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 21.00 — „ალო, აუქციონი?“ (განმეორებით). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ქართული მუსიკალური ფილმი „ოტელო“. 0.10 — დედოფლის გვირგვინისათვის.

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „გუბკინის მიწა“. 17.25 — მხატვრული ფილმი. „ნექმენიანი კატის ახალი თავგადასავალი“.

ოთხშაბათი, 24 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზაჯვარედინები“. 17.15 — განცხადებები. 17.20 — მოსწავლეთათვის. „აბა, დელიგ!“. 17.55 — „მოგვითხრობენ ჩვენი კორესპონდენტები“ (მ.). 18.25— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „სამი ვაშლი ციდან არ ჩამოვარდნილა“. 18.40 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერა საქართველოზე“. 19.05 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ხუთწლედი, წელი პირველი“ (ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „რა სჭირდება რობოტს?“. 21.00 — „ფილმი და რეჟისორი“. ოთარ იოსელიანი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მულტიპლიკაციური ფილმი უფროსებისათვის „სმა თუ სიცოცხლე“. 23.00 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. ისლანდიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. რეპორტაჟი ისლანდიიდან. 0.45 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი. „დინამო“ — ძალა მოძრაობაშია“. 17.20 — მხატვრული ფილმი „ორი თავი ოჯახის ქრონიკიდან“.

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ქართული ხალხური ცეკვები (მ.). 10.15 — მოამბე. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — საბჭოური ცხოვრების წესი. დოკუმენტური ფილმი „კარიერის უფლება“. 17.35 — „ვიფიქროთ ერთად“. „გულახდილი საუბარი მე-10 „ა“ კლასთან“ (მ.). 18.30 — კინომოზაიკა (განმეორებით). 19.10 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თვალთაი“. სატელევიზიო ჟურნალი. 21.20 — ახალგაზრდობისათვის. „გაუმარჯოს გულახდილობას“. (განმეორებით). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.45 — კონცერტი. „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ძველი ოსტატები“. 17.30 — განცხადებები. 17.35 — პოლონური მხატვრული ფილმი „დულსკები“. 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „შავი ყარყატი“.

შაბათი, 27 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გზა“. 11.00 — „მშობლის დღე შაბათი“ (მ.). 12.00 — „ფუსტიანელი გვიხმობს“. ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი (მ.). 12.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი. „უკანასკნელი არდადეგები“. 12.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.00 — ბალეტის მოყვარულთათვის (განმეორებით). 14.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.50 — კომპოზიტორ მ. ჯაიანის სიმღერები (განმეორებით). 15.10 — „გლობუსი“. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.00— მულტიპლიკაციური ფილმი „თბილი ადგილი“. 17.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.15 — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „ავღანეთი — სიმართლე და სიცრუე ისლამის შესახებ“ (მ.). 18.20 — ზამთრის დროზე გადასვლის შესახებ (მ.). 18.35 — „მეგობრების წრეში“ (განმეორებით). 19.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — შემოქმედებითი პორტრეტი. „გიორგი შავგულიძე“ (დაბადების 75 წლისთავის გამო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“.

კვირა, 28 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.15 — დილის გასართობი პროგრამა. „რიტმი, რიტმი, რიტმი“... 11.00 — „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა“. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — „დილის ფოსტა“. 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერის შესწავლა“. (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ქევხიშვილი). 13.05 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „დაბადების დღე“. 14.30 — საკვირაო გამოფენა. 14.40 — „სადვისვენებთ?“. (განმეორებით). 15.00 — დღეს მანქანათმშენებლის დღეა (მ.). 15.15 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ ვუკრავთ იმპრესიონისტებს“. 16.10 — „ვესტნიკი“. 16.40 — საკვირაო გამოფენა. 16.45 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.20 — მულტანორამა. 18.30 — „სიფხიზლისათვის ბრძოლა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა!“ (განმეორებით). 19.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტაკელაძის გზები“ (პირველი ჩვენება). 19.25 — მოამბე. 20.00 — შეხვედრა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასზე. თბილისის „დინამო“ — ბაქოს „ნეფთჩი“. რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს (20.45) — „ზღაპრის გუდა“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — „საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.15 — რ. შუმანი. „კარნავალი“. ასრულებს მ. ხვიტია.

ცისფერ ეკრანზე

საძარითვლო ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანთა გზები“. 10.00 — „ამა“. 11.45 — პროფესია — „გამომძიებელი“. IV სერია. 11.00 — ჯანმრთელობა. 12.40 — შაბათი მშობლების დღეა. 13.10 — უსაფრთხო მოძრაობა. 13.40 — უკრავს ი. სლესარევი (ფორტეპიანო). 13.55 — ყველასა და თითოეულისათვის. 14.25 — დ. შოსტაკოვიჩი. ბალეტი „ოქროს ხანა“. 17.00 — მეცნარეთა სამყარო. 17.50 — პოეტური ანთოლოგია. ლეონიდე მარტინოვი. 18.05 — აშკარა — დაუჯერებელი. 19.05 — მხატვრული ფილმი „მფრინავ პუსართა ესკადრონი“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მულტფილმები დიდებისათვის. 23.20 — მღერის ს. როტარუ. 0.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — დილის ფოსტა. 10.45 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 11.15 — მღერის კამერული გუნდი „ავე სოლ“. 11.50 — ჩვენი სახლი. 12.40 — „შესაძლებლის ზღვარი“. III სერია. 13.55 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 14.40 — კინოპანორამა. 16.10 — XVIII საუკუნის რუსული ხელოვნება. 17.05 — სახალინის ტელესტუდიის პროგრამა. 18.00 — „რა არის ციონკი“. 18.40 — მულტფილმი. 18.50 — „მ. ნ. ერმოლოვას სახლში“. 20.20 — „რაზე შრიალებს ტყის მდუმარება“. ტელენარკვევი. 20.35 — კონცერტი. 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ძიუდო. 21.50 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ორი მებრძოლი“. 23.55 — ახალი ამბები. 24.00